საქართველო-ინგლისის კულტურისა და საქმიანი
ურთიერთობების საერთაშორისო ცენტრის რეზიდენცია
"გამარჯვების პარკის" მიმდებარე ტერიტორიაზე
დამპროექტებელი: შ.პ.ს."ლაზათი და კომპანია"

## საექსპერტო დასკვნა

- - - - - - - - -

ექსპერტიზა- ვ.ხარტაძე

წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 11 ივლისის №11.15.702 დადგენილების საფუძველზე; დამკვეთია ქართულ-ინგლისური კულტურის ცენტრი"მთვარის გლობუსი".

სამშენებლოდ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს "გამარჯვების პარკის"/ვაკის პარკი/ აღმოსავლეთ განაპირას,ჯავახიშვილის ქუჩისა და დარიალის ჩიხის მიმდებარედ. დღეისათვის ნაკვეთი დაკავებულია ერთსართულიანი ნახევარსარდაფის ტიპის სამეურნეო ნაგებობებით,რომლის გარშემო სუფევს ანტისანიტარია და აქაურობა პრაქტიკულად სანაგვეს წარმოადგენს. ამდენად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს,რომ ასეთი დანიშნულების შენობის არსებობა ამ კონკრეტულ ადგილას პარკისათვის ყოველმხრივ სასიკეთო მოვლენა იქნება.

ნაკვეთი გარშემორტყმულია ინტენსიური გამწვანებით საკუთრივ მასზე იზრდება ახალგაზრდა ფიჭვის კორომი.ავტორის მიერ შენობა ისე არის განთავსებული,რომ იგი მხოლოდ ორი ძირი ყოვლად უსახური,გადაბერებული ხის მოჭრას მოითხოვს.ფიჭვის კორომი კი რჩება ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების შემადგენელ ნაწილად.

შენობა სამსართულიანია და ძირითადად კაბინეტებისა და აპარტამენტებისაგან შედგება,შენობის ცენტრში განვითარებულია ატრიუმი სამ სართულზე,

რომლის გარშემო აკრიფულია სათავსოები და ოთახები. შენობა კომპაქტურია და გეგმაში დანაწევრებულია იმდენად, რამდენადაც ამას ნაკვეთზე არსებული ნარგობა მოითხოვს.

ექსპერტის აზრით სწორად არის ორგანიზებული მომსვლელთა მარშრუტები.

პროექტის მიმართ ექსპერტიზას ძირითადად დადებითი დამოკიდებულება აქვს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი მომენტი, რაც პროექტის დამუშავების შემდგომ ეტაპზე აუცილებლად უნდა გადაიხედოს: კერძოდ ფასადებზე შეიმჩნევა არქიტექტურული თემებისა და ელემენტების სიმრავლე რაც შენობას ატრაქციონულ ელფერს აძლევს.

ექსპერტიზა თვლის, რომ ზემოხსენებული შენიშვნის გათვალისწინებით პროექტი მისაღებია შემდგომ ეტაპზე მისი დამუშავებისათვის.

ექსპერტი- არქიტ. ვ. ზარტაძე

პროექტების განხილვის ექსპერტიზისა და საპროექტო სამუშაოების კოორდინაც. განყოფილება

04.01.97